

საქართველოს მთავრობის  
დადგენილება

N238

2005 წლის 28 დეკემბერი

ქ. თბილისი

დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების, ანალიზის  
მეთოდებისა და მათი დანერგვის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს ქალაქებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი. უხარისხო დიზელის საწვავის შემადგენლობა განაპირობებს სახიფათო აეროზოლების წარმოქმნას, რამაც სავარაუდოა გამოიწვიოს რესპირატორული, სიმსივნური და სხვა დაავადებათა სტიმულირება.

დიზელის საწვავის ხარისხობრივი და ეკოლოგიური მახასიათებლების ევროპაში დადგენილ ნორმებთან ჰარმონიზაციის მიზნით “საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის “ჟ” ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. დადგინდეს დიზელის საწვავის ხარისხობრივი და ეკოლოგიური მახასიათებლები: (30.12.2009 N 260)

ა) 2005 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე:

ა.ა) ცეტანის რიცხვი – არანაკლებ 45;

ა.ბ) გოგირდის შემცველობა – არა უმეტეს 350 მგ/კგ;

ა.გ) სიმკვრივე 15<sup>0</sup>C – არა უმეტეს 845 კგ/მ<sup>3</sup>;

ა.დ) პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების მასური წილი – არა უმეტეს 11%;

ბ) 2010 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 იანვრამდე: (30.12.2010 N 422)

ბ.ა) ცეტანის რიცხვი – არანაკლებ 45;

ბ.ბ) გოგირდის შემცველობა – არა უმეტეს 350 მგ/კგ;

ბ.გ) სიმკვრივე 15<sup>0</sup>C – არა უმეტეს 845 კგ/მ<sup>3</sup>;

ბ.დ) პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების მასური წილი – არა უმეტეს 11%;

გ) 2012 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე: (1.12.2011 N 449 ამოქმედდეს 2011 წლის 31 დეკემბრიდან)

გ.ა) ცეტანის რიცხვი – არანაკლებ 47;

გ.ბ) გოგირდის შემცველობა – არა უმეტეს 300 მგ/კგ;

გ.გ) სიმკვრივე 15<sup>0</sup>C – არა უმეტეს 845 კგ/მ<sup>3</sup>;

გ.დ) პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების მასური წილი – არა უმეტეს 11%;

დ) 2014 წლის 1 იანვრიდან - 2016 წლის 1 იანვრამდე: (26.12.2014 N 729 ამოქმედდეს 2015 წლის 1 იანვრიდან)

დ.ა) ცეტანის რიცხვი – არანაკლებ 48;  
დ.ბ) გოგირდის შემცველობა – არაუმეტეს 200 მგ/კგ;  
დ.გ) სიმკვრივე 150C – არა უმეტეს 845 კგ/მ<sup>3</sup>;  
დ.დ) პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების მასური წილი – არაუმეტეს 11%;

**ე) 2016 წლის 1 იანვრიდან:** *(26.12.2014 N 729 ამოქმედდეს 2015 წლის 1 იანვრიდან)*

ე.ა) ცეტანის რიცხვი – არანაკლებ 48;  
ე.ბ) გოგირდის შემცველობა – არაუმეტეს 150 მგ/კგ;  
ე.გ) სიმკვრივე 150C – არაუმეტეს 845 კგ/მ<sup>3</sup>;  
ე.დ) პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების მასური წილი – არაუმეტეს 11%.

2. 2009 წლის 1 იანვრამდე დიზელის ხარისხის ანალიზის მეთოდები გამოყენებულ იქნეს ამჟამად მოქმედი სტანდარტების მიხედვით. 2009 წლის 1 იანვრიდან – საერთაშორისო სტანდარტებისა (ისო) და ევროპული ნორმების (ენ) საფუძველზე მიღებული ეროვნული სტანდარტების შესაბამისად. *(17.12.2007 N278)*

3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

**ზურაბ ნოღაიდელი**